1937

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
ჟუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. სექტემბრის 25. № 13 თბილისი

## შინაარსი


სახელმწიფოს თავდაცვა

84. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

85. „მოუვლელობის გამო ქალაქ ადგილას მცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-7 და მე-8 მუხლების შეცვლის შესახებ.

მშენებლობა

86. საშენი მასალის წარმოებაზე ანგარიშგების შესახებ.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა

87. საქ. სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან კოლხიდის დასახლების სამმართველოს მოწყობის შესახებ.

88. კოლმეურნეობათა სამუდამო სარგებლობაში გადაცემული საფარი და წყლის დაცვითი ზონებით სარგებლობის წესის შესახებ.

89. 1938 წელს გერანის გაშენების გეგმის შესახებ.

90. სავალდებულო ნატურალური ჩაბარების, მანქანა-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების თაობაზე, კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნულ მეურნეობების საჩივრების განსახილველად კომისიის დაარსების შესახებ.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

91. „საქართველოს სსრ-ში ნადირობის წესებისა და ვადების თაობაზე" გამოცემული დადგენილებისათვის მე-7[1] მუხლის დამატების შესახებ.

ფინანსები

92. გადასახადთა და სადაზღვევო გადასახდელთა მიმღები სალაროებისა და სასოფლო შემნახველი სალაროების სათანადო სადგომებით და ნაცადი კადრებით უზრუნველყოფის შესახებ.

93. გადამხდელთა ცალკეული კატეგორიებისათვის შენობის გადასახადის შენობის ღირებულების 2%-მდე გადიდების შესახებ.

შრომა

94. მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების სამუშაო ხელფასის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის წესის შესახებ.

განათლება

95. მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფა

96. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს გაუქმების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

97. მთავარი რესპუბლიკური სანოტარო კონტორის მოწყობის შესახებ.

98. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

---

# სახელმწიფოს თავდაცვა

## 84. დადგენილება ც. ა. კ.

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას 1937 წლის ივლისის 1-დან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისია, და ამ ძეგლთა დაცვის, აღრიცხვისა და რესტავრაციის სამუშაო გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, 1937 წლის ყველა ასიგვნით და საშტატო ერთეულით.

2. გაუქმებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. ივნისის 16-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-19 №-ი, მუხ. 160).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **გ. გოჩაშვილი.**

1937 წ. ივნისის 21. № 215.
თბილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამოქალაქო სამართალი

## 85. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**„მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელი შენობათა მუნიციპალიზაციის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-7 და მე-8 მუხლების შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-7 და მე-8 მუხლებში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 28-ის დადგენილებისა „მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 მუხლის შენიშვნის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ., მე-7 №-ი, მუხ. 57) სიტყვები „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს (პრეზიდიუმის) შეიცვალოს სიტყვებად „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **გ. გოჩაშვილი.**

1937 წ. ივლისის 29. № 216/586.
თბილისი.

---

# მშენებლობა

## 86. დადგენილება ს. კ. ს.

**საშენი მასალის წარმოებაზე ანგარიშგების შესახებ.**

„საშენი მასალის წარმოებაზე ანგარიშგების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. ივნისის 3-ის თარიღის და 899 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს დაწყებული 1937 წ. ივლისიდან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველოს, ხოლო ასლი—საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, ყოველთვიური ანგარიშგება საშენი მასალის წარმოებაზე 1-ლი №-ის ფორმით—„საშენი მასალის გამომუშავების ნატურალურად გამოხატული კრებსი", შემდეგი წესისამებრ:

ა) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მრეწველობის ხაზით—თვის 15 რიცხვში, სასწრაფო ფოსტით;

ბ) ადგილობრივი მრეწველობის ხაზით—თვის 7 რიცხვში სასწრაფო ფოსტით.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ 1937 წ. ივლისიდან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების საფოსტო ანგარიშგება ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს წინაშე საშენი მასალის წარმოებაზე—ისე, რომ ამ უკანასკნელთ უზრუნველყონ 1937 წლის ივლისიდან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის საშენი მასალის წარმოების გეგმის შესრულების კრებსითი ცნობების წარდგენა 1-ლი №-ის ფორმის მიხედვით (იხ. მუხ. 1-ლი) შემდეგ ვადებზე:

ა) ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების ხაზით—10 რიცხვში სასწრაფო ფოსტით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის ხაზით—3 რიცხვში სასწრაფო ფოსტით.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს—წარუდგინონ დაწყებული 1937 წ. ივლისიდან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს დამტკიცებული ფორმების მიხედვით საფოსტო ანგარიშგება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მრეწველობის მიერ საშენი მასალის (აგურის, კირის, ალებასტრის, კრამიტის და სხვ.) წარმოების გეგმების შესრულების შესახებ, ყოველთვიურად არა უგვიანეს 5 რიცხვისა, სასწრაფო ფოსტით.

4. მიენდოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—მისცეს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს სათანადო მითითებანი ამა დადგენილების აღსრულების შესახებ; ეს მითითებანი წინასწარ შეუთანხმოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს.

5. საშენი მასალის წარმოების გეგმის შესრულების შესახებ წარსადგენი საანგარიშო ცნობები შედგენილ უნდა იქნას მარტოოდენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ივლისის 1. № 800.
თბილისი.

---

## ᲛᲘᲬᲘᲡ, ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲧᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ. ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

### 87. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს. Კ. Ს.

**საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან კოლხიდის დასახლების სამმართველოს მოწყობის შესახებ.**

1. საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ კოლხიდის სასოფლო-სამეურნეო ათვისების განყოფილების კოლხიდის დასახლების სამმართველოდ რეორგანიზების შესახებ საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინადადება მიღებულ იქნას, სამმართველოს მდებარეობის ადგილად დაწესდეს ქ. ფოთი.

კოლხიდის დაბლობის სასოფლო-სამეურნეო ათვისება დაეკისროს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სუბტროპიკულ სამმართველოს. საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შტატის ფარგლებში ორგანიზებულ იქნას კოლხიდის სასოფლო-სამეურნეო ათვისების სექტორი.

კოლხიდის დასახლების სამმართველოს შტატის შენახვა მიღებულ იქნას მშენებლობის ღირებულების ანარიცხების ხარჯზე.

2. დაწესდეს, რომ კოლხიდის დასახლების სამმართველო ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

1) გადასახლებულთა კონტინგენტის შერჩევა;

2) ახალი დაბებისა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობის მშენებლობა.

საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ კოლხიდის დასახლების სამმართველოს შტატი განისაზღვროს ათი ერთეულის რაოდენობით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. აგვისტოს 10.
ქ. თბილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 88. დადგენილება ს. კ. ს.

**კოლმეურნეობათა სამუდამო სარგებლობაში გადაცემული საფარი და წყლის დაცვითი ტყეებით სარგებლობის წესის შესახებ.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1937 წ. 15 მაისის 786 №-ით „კოლმეურნეობათა სამუდამო სარგებლობაში გადაცემული წყლის დაცვითი ზონის ნაკრძალავი ზოლის ტყეების შესახებ“ (სსრკ. კან. კრ. 1937 წ. № 34, მუხ. 138) გამოცემული დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შენახულ იქნას საფარი და წყლის დაცვითი ტყეები, მიუხედავად იმისა, თუ ვის მფლობელობაში იმყოფებიან ისინი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი საფარი და წყლის დაცვითი მნიშვნელობის ყველა ტყეები, რაც სახელმწიფო აქტების თანახმად გადაცემული აქვთ კოლმეურნეობებს სამუდამო სარგებლობაში, რჩებიან კოლმეურნეობათა სარგებლობაში იმ პირობით, რომ კოლმეურნეობებს ნება არა აქვთ გადააქციონ ეს ტყეები სხვა სახის მამულად, ე. ი. ნება არა აქვთ ტყის გაკაფვისა.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ორი თვის ვადაში დღიდან ამა დადგენილების მიღებისა, განსაზღვრონ ნატურად კოლმეურნეობათა სამუდამო სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე ტყის ნაკვეთები, რაც საფარი და წყლის დაცვითი მნიშვნელობის ზონაში შედის.

3. უფლება მიეცეს კოლმეურნეობებს ისარგებლონ საფარი და წყლის დაცვითი მნიშვნელობის ზონაში შემავალი ტყის ნაკვეთების მერქნით იმ წესითა და რაოდენობით, რაც დადგენილია სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ საფარი და წყლის დაცვითი ტყეებისათვის.

4. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და მთავარ საკურორტო სამმართველოს დააწესონ ტყის მეურნეობის წარმოებისა და დაცვის კონტროლი საკოლმეურნეო ნაკვეთებზე, რაც საფარი და წყლის დაცვითი ტყეების ზონაში შედის (მუხ. 2) და უზრუნველყონ ტყის დაცვის წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა მოქმედი კანონების თანახმად.

5. ნება მიეცეს კოლმეურნეობებს მათთვის განკუთვნილ მიწებზე, რაც შეტანილია ყამირის გატეხის და საძოვრების გაუმჯობესების გეგმაში, აწარმოონ წინად გაკაფულ ფართობების გაწმენდა, ჯირკვების ამოყრა და ჯაგნარებისაგან გაწმენდა.

6. ეს დადგენილება ეცნობოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ივლისის 21.
ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 89. დადგენილება ს. კ. ს.

## 1938 წელს გერანის გაშენების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1938 წელს გერანის პლანტაციების გაშენების გეგმა დამტკიცებულ იქნას 1.220 ჰექტარის რაოდენობით, 1937 წლის გეგმის 920 ჰექტართან შედარებით, და შემდეგი განაწილებით:

| რაიონები | სულ ჰექტარობით | აქედან საბჭოთა მეურნეობებში | აქედან კოლექტიურ მეურნეობებში |
|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ. . . . . . . . . . . . | 990 | 400 | 590 |
| 2. აჭარის ასსრ . . . . . . . . . . . . . | 80 | 80 | — |
| 3. ცხაკაიას რაიონი . . . . . . . . . . . | 150 | 50 | 100 |
| სულ. . . . . . . . . . . . | 1220 | 530 | 690 |

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და ცხაკაიას სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად გამოყოს ორი თვის ვადაზე კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გერანისათვის ვარგისი ფართობები ისეთი ოდენობით, რაც უზრუნველყოფს 1938 წელს გერანის გაშენების გეგმას.

3. 1938 წელს გერანის გაშენების გეგმის უზრუნველსაყოფად 1937 წლის შემოდგომაზე გერანის კალმის დამზადება განისაზღვროს 29.680.000 ცალის რაოდენობით, ხოლო 1938 წლის შემოდგომაზე 2.706.000 ცალის რაოდენობით, შემდეგი განაწილებით რაიონებზე (იხ. დანართი № 1).

4. 1937 წ. გერანის ახალი სათბურების მშენებლობის გეგმა განისაზღვროს 28.175 ცალი ჩარჩოს რაოდენობით და შემდეგი განაწილებით სექტორებსა და რაიონებზე (იხ. დანართი № 2).

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს კოლექტიური მეურნეობების გრძელვადიანი დაკრედიტება 1937 წელს სათბურების მშენებლობისათვის.

6. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოსცეს სამი თვის ვადაზე გერანის კულტურის აგროწესები ქართულ, რუსულ და აფხაზურ ენაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ვ. დეკანოზოვი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. ივნისის 27. № 774.

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

## გერანის კალმის დამზადების გეგმა (ცალობით)

| ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები | კალმის დამზადების გეგმა ცალობით | | | აქედან | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საბჭოთა მეურნეობებში | | | კოლმეურნეობებში | | |
| | შემოდგომისა | გაზაფხულისა | სულ | შემოდგომისა | გაზაფხულისა | სულ | შემოდგომისა | გაზაფხულისა | სულ |
| აფხაზეთის ასსრ . . . . . | 24.000.000 | 2.177.000 | 26.177.000 | 9.600.000 | 920.000 | 10.520.000 | 14.400.000 | 1.357.000 | 15.757.000 |
| აჭარის ასსრ . . . . . | 2.000.000 | 184.000 | 2.184.000 | 2.000.000 | 184.000 | 2.184.000 | — | — | — |
| ცხაკაიას რაიონი . . . . . | 3.680.000 | 345.000 | 4.025.000 | 1.200.000 | 115.000 | 1.315.000 | 2.480.000 | 230.000 | 2.710.000 |
| | 29.680.000 | 2.706.000 | 32.386.000 | 12.800.000 | 1.219.000 | 14.019.000 | 16.880.000 | 1.587.000 | 18.457.000 |

დანართი № 2

## გერანის სათბურების მშენებლობის გეგმა

| ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები | არსებული სასათბურო ჩარჩოები ცალობით | დამატებითი სასათბურო ჩარჩოების მშენებლობის გეგმა ცალობით | სულ სასათბურო ჩარჩოები (ცალობით) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ . . . . . | 36.827 | 23.175 | 60.002 | |
| აჭარის ასსრ . . . . . | 5.000 | — | 5.000 | |
| ცხაკაიას რაიონი . . . . . | 4.200 | 5.000 | 9.200 | |
| | 46.027 | 28.175 | 74.202 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 90. დადგენილება ს. კ. ს.

**სავალდებულო ნატურალური ჩაბარების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების თაობაზე კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნულ მეურნეობების საჩივრების განსახილველად კომისიის დაარსების შესახებ.**

1. სავალდებულო ნატურალური ჩაბარების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებისა და დამამზადებლებთან დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების თაობაზე გამოცემული კანონების არასწორად შეფარდების გამო შემოტანილ საჩივრების განსახილველად, სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა სამმართველოს რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში, მოწყობილ იქნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე—სსრკ ს. კ. ს-ოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა სამართველოს რწმუნებული საქ. სსრ-ში, კომისიის წევრები—საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი და საქ. სახ. სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი.

2. წინადადება მიეცეს აღნიშნულ კომისიას კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნულ მეურნეობების საჩივრები განიხილოს 3 დღის ვადაზე—თუ საჭირო არ არის ადგილზე შემოწმება და 8 დღის ვადაზე თუ საჭიროა ადგილობრივი შემოწმება.

3. კომისიის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დადგენილებები უნდა ქვეყნდებოდეს რესპუბლიკურ პრესაში.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულებს ეს დადგენილება დაიყვანონ კოლმეურნეობებსა, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ივლისის 21.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სათევზაო და სანადირო მეურნეობა

## 91. დადგენილება ს. კ. ს.

**„საქართველოს სსრ-ში ნადირობის წესებისა და ვადების თაობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის მე-7¹ მუხლის დამატების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1936 წ. ნოემბრის 3-ის თარიღის და 1417 №-ის დადგენილებას „საქართველოს სსრ-ში ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. 29 №-ი, მუხ. 174) დაემატოს მე-7¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„7¹ აკრძალულია მარტის 1-დან ნოემბრის 1-მდე ტყეში ნადირობა ღვივილადი მასალისაგან გაკეთებული სატენის გამოყენებით“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ივლისის 1. № 811.
თბილისი.

---

# ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

## 92. დადგენილება ს. კ ს.

**გადასახადთა და სადაზღვევო გადასახდელთა მიმღები სალაროებისა და სასოფლო შემნახველი სალაროების სათანადო სადგომებით და ნაცადი კადრებით უზრუნველყოფის შესახებ.**

„სოფლის მოსახლეობისაგან გადასახადთა და სადაზღვევო გადასახდელთა მიღების ორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. ივნისის 19-ის თარიღის და 972 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს—უზრუნველყონ გადასახადთა და სადაზღვევო გადასახდელთა მიმღები სალაროები, სარაიონო საფინანსო განყოფილებებისა და სასოფლო შემნახველი სალაროები სავსებით ვარგისი სადგომებით და გაუწიონ სარაიონო საფინანსო განყოფილებებს დ

შემნახველ სალაროებს პრაქტიკული დახმარება პოლიტიკურად ნაცადი და კეთილსინდისიერი მომუშავეების სათანადო რიცხვით სალაროების დაკომპლექტების საქმეში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 ივლისის 1. № 815.
თბილისი.

---

## 93. დადგენილება ს. კ. ს.

**გადამხდელთა ცალკეული კატეგორიებისათვის შენობის გადასახადის შენობის ღირებულების 2%-მდე გადიდების შესახებ.**

„შენობის გადასახადისა და მიწის რენტის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „გ" პუნქტის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 58-ე №-ი, მუხ. 612) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქალაქო საბჭოებს გაადიდონ 1937 წ. იანვრის 1-დან იმ შენობების გადასახადი, რაც იმ პირთ ეკუთვნის: ა) რომელნიც დაბეგრილი არიან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის მე-3 განრიგის თანახმად; ბ) რომელთაც სასამართლო წესით ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლებები და რომელნიც სამსახურში ან სამუშაოზე არ იმყოფებიან და გ) რელიგიური კულტის საზოგადოებათ—შენობის ღირებულების 2%-მდე.

2. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი 1936 წ. აპრილის 22-ის თარიღის და 425 №-ისა (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-14 №-ი, მუხ. 85) და 1937 წ. მაისის 4-ის თარიღის და 444 №-ისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ივლისის 1. № 788.
თბილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲨᲠᲝᲛᲐ

## 94. დადგენილება ს. კ. ს.

**მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების სამუშაო ხელფასის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის წესის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და ცენტრალური დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაამტკიცონ ხოლმე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების სამუშაო ხელფასის პერსონალური განაკვეთები არა უმეტეს, ვიდრე 900 მანეთის ფარგლებში თვიურად.

2. სამუშაო ხელფასის პერსონალურ განაკვეთებს 900 მანეთზე მეტი რაოდენობით თვიურად ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

3. ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლში გათვალისწინებული სამუშაო ხელფასის პერსონალური გენაკვეთები დანიშნულ უნდა იქნას სათანადო დაწესებულების, წამოწყების ან ორგანიზაციისათვის დამტკიცებული სამუშაო ხელფასის წლიური ფონდის ფარგლებში.

4. სამუშაო ხელფასის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის დროს დაცულ უნდა იქნას მომქმედი შემზღუდველი წესები, რომლებიც ეხება იმ პირთა პერსონალური განაკვეთების გადიდების წესს, ვინც სამუშაოზე იმყოფებოდა „პურის, ფქვილისა და ბურღულის საბარათო სისტემის გაუქმების შესახები“ 1934 წ. დეკემბრის 7-ის კანონის გატარების დროს (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 61 №-ი, მუხ. 445; 1935 წ. მე-4 №-ი, მუხ. 35; 28 №-ი, მუხ. 227).

5. სამუშაო ხელფასის პერსონალური განაკვეთები არ შეიძლება დაენიშნოს პასუხსაგებ თანამდებობაზე მყოფ პირთ, რომელთა სამუშაო ხელფასის განაკვეთებიც დაწესებულია სსრ კავშირის მთავრობის სპეციალური დადგენილებებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ივლისის 1. № 798.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

## 95. დადგენილება ც. ა. კ.

**მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვა გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურისა და ხელოვნების დაცვის კომიტეტი გაუქმებულ იქნას და მისი შტატი და 1937 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსარი გადაეცეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს.

2. ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან მოწყობილ იქნას კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილება.

3. სახალხო კომისართა საბჭომ:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს აღნიშნული განყოფილების შტატები;

ბ) დაავალოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს—მოახდინოს კულტურისა და ხელოვნების ყველა ძეგლის ხელახალი აღრიცხვა და განსაზღვროს იმ ძეგლთა ზუსტი ნომენკლატურა, რომლებზედაც უნდა გავრცელდეს სახელმწიფო ზედამხედველობა და დაცვა;

გ) დაავალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—გაუწიონ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველგვარი დახმარება განზრახული სარესტავრაციო სამუშაოებისა და ძველი დროის ძეგლების დაცვის ღონისძიებათა ადგილობრივ განხორციელების საქმეში;

დ) განსაზღვროს ძველი დროის ძეგლების რესტავრაციისათვის საჭირო ღონისძიებათა დაფინანსების საერთო მოცულობა 1937 წელს 1.800 ათასი მან. რაოდენობით; აქედან სახელმწიფო მუზეუმის ღონისძიებათათვის—150 ათასი მანეთი;

ე) განიხილოს და დაამტკიცოს 1927 წლის სამუშაოთა ობიექტები და მათი ხარჯთაღრიცხვები.

4. დაევალოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს:

ა) შეიმუშაოს ორი თვის ვადაზე ძველი დროის ძეგლთა რესტავრაციისა და დაცვის სამწლიური გეგმა და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოს იმ ცვლილებათა პროექტი, რომლებიც შეტანილი უნდა იქნენ მომქმედ კანონმდებლობაში.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **გ. გოჩაშვილი.**

1937 წ. ივნისის 7. № 214.
თბილისი.

---

# სოციალური უზრუნველყოფა

## 96. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს გაუქმების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭო გაუქმებულ იქნას.

2. აღნიშნული საბჭოს ფუნქციები ინვალიდების შრომითი მოწყობის საქმეში დაეკისროს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, სათანადო სახალხო კომისარიატებთან და უწყებებთან ინვალიდების შრომითი მოწყობისათვის საჭირო ღონისძიებათა შეთანხმებით.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 13-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ინვალიდთა შრომითი მოწყობის საბჭოს შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 21) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ივლისის 1. № 784.
თბილისი.

---

# სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

## 97. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**მთავარი რესპუბლიკური სანოტარო კანტორის მოწყობის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. რეორგანიზებულ იქნას 1937 წ. ივლისის 1-დან თბილისის სახელმწიფო სანოტარო კონტორა მთავარ რესპუბლიკურ სანოტარო კანტორად, რომელსაც მეთაურობს უფროსი ნოტარიუსი.

2. დაეკისროს უფროს ნოტარიუსს საქართველოს სსრ სანოტარო ორგანოების საქმიანობის ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა და ამავე დროს მთავარი რესპუბლიკური სანოტარო კანტორის ოპერატიული სანოტარო ფუნქციების აღსრულება.

3. მთავარი რესპუბლიკური სანოტარო კანტორის შესანახად საჭირო ხარჯი მიეკუთვნოს 1937 წელს სანოტარო ორგანოების შესანახად საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით გადადებულ სახსარს.

4. მიენდოს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს:

ა) წარუდგინოს ორი დეკადის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ;

ბ) განსაზღვროს მთავარი რესპუბლიკური სანოტარო კანტორისა და უფროსი ნოტარიუსის ფუნქციები და დაამტკიცოს სათანადო ინსტრუქცია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის **გ. გოჩაშვილი.**

1937 წ. ივლისის 29. № 217/886.
თბილისი.

---

## 98. დადგენილება ს.კ.ს.

**იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაემატოს „ა“ კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლე-

ბითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126; 21-ე №-ი, მუხ. 208; 24-ე №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26; 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 35; მე-14 №-ი, მუხ. 138; 25-ე №-ი, მუხ. 199; 33-ე №-ი, მუხ. 254; 1935 წ. მე-5 №-ი, მუხ. 32; 32 №-ი, მუხ. 206 და 207; 1936 წ. მე-7 №-ი, მუხ. 52; მე-12 №-ი, მუხ. 76; 23-ე №-ი, მუხ. 139) 38 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[სანოტარო კანტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად:.....]

„38. ქალ. თბილისის სამშენებლო-საწარმოო მილსაწმენდ-საღუმელო ტრესტის განწესს სახლის პატრონთა და სახლმმართველობათა მიერ კვამლსადენების გაწმენდისათვის შესატან ვადაგადაცილებულ სასყიდელზე, უკეთუ ამასთანავე წარდგენილ იქნება შესრულებული სამუშაოს და ხვედრი სასყიდლის განწესი და სახლის პატრონის თუ სახლმმართველობის ხელწერილი, რომ მას განწესი წარედგინა, ან ტრესტის დირექტორის აღნიშვნა, რომ სახლის პატრონმა თუ სახლმმართველობამ ასეთი ხელწერილის მიცემაზე უარი სთქვა“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ვ. **დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ივლისის 1. № 792.
თბილისი.

---

ფასი 25 კაპ.

**გამომცემელი** საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 25. პ/მ. რედაქტორი **ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 1/IX, ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X; ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. № 31125 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 1139-ა